

**ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს წლიური ანგარიში  
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის III თავით გათვალისწინებულ  
ინფორმაციის თავისუფლების თაობაზე**

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ III თავის 49-ე მუხლის თანახმად მოცემულ ანგარიშში ასახულია ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში 2019 წლის 01 იანვრიდან 10 დეკემბრამდე პერიოდში, საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით შემოსული განცხადებების შესახებ ინფორმაცია „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით“ დადგენილი წესით.

სასამართლოს მიერ საჯარო ინფორმაციის გაცემა მოიცავს სასამართლოში წარმოებული საქმეებიდან მოთხოვნილი მასალის ქსეროასლების ან ელექტრონული მატარებლის მეშვეობით მიწოდებას, სტატისტიკურ მონაცემთა გაცემას, სასამართლო საქმეების გაცნობას და ა.შ.

2019 წლის 1 იანვრიდან 2019 წლის 9 დეკემბრის ჩათვლით საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით სულ შემოვიდა 160 განცხადება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში შესაძლებელია საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა, როგორც სასამართლოში განცხადების უშუალოდ წარმოდგენით, აგრეთვე ელექტრონული ფორმით, ოფიციალური ელექტრონული ფოსტის [kutaisi-appeal.court.ge](mailto:kutaisi-appeal.court.ge) მეშვეობით, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსისა“ და „საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტისა და პროაქტიულად გამოქვეყნების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესო საბჭოს 2013 წლის 27 დეკემბრის # 1/225 გადაწყვეტილების მოთხოვნების შესაბამისად. პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის ფარგლებში, ქუთაისის სააპელაციო სასამართლო თავის ვებ-გვერდზე პერიოდულად ანთავსებს სტატისტიკურ ინფორმაციას.

საანგარიშო პერიოდში, საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის მოთხოვნის შემთხვევა არ დაფიქსირებულა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში, საანგარიშო პერიოდში, საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით შემოვიდა 160 განცხადება, რომელთაგან დაკმაყოფილდა 145 მოთხოვნა, ნაწილობრივ დაკმაყოფილდა - 5 მოთხოვნა, არ დაკმაყოფილდა - 8, ხოლო 2 მოთხოვნა დამუშავების პროცესშია.

გადაწყვეტილება საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, ნაწილობრივ დაკმაყოფილებაზე ან/და დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ მიიღებოდა საქართველოში მოქმედი შესაბამისი კანონმდებლობის საფუძველზე, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი საჯარო მოხელის მიერ (კანცელარიისა და მოქალაქეთა მისაღები განყოფილების უფროსი).

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში საქმის წარმოების მიზნებისათვის მონაცემების შეგროვებისას ვრცელდება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი, ხოლო აპარატის მოხელეთა მონაცემების დამუშავება

ხდება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული წესით. შესაბამისად, საანგარიშო პერიოდში სასამართლოს მიერ პერსონალური მონაცემების გაცემა ხორციელდებოდა მხოლოდ „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსითა“ და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ შემთხვევებში და კანონით გათვალისწინებული საფუძვლებით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში აპარატის მოხელეთა მხრიდან მითითებულ პერიოდში არ გამოვლენილა „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ III თავის მოთხოვნათა დარღვევისა და ამ საფუძვლით პასუხისმგებელი პირებისათვის დისციპლინური სახდელების დადების ფაქტები.

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმისას ან/და საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას სასამართლო ეყრდნობოდა შემდეგ სამართლებრივ და ფაქტობრივ საფუძვლებს:

1. „საქართველოს კონსტიტუციას“; „საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსსა“ და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონს.
2. სასამართლოს მოქმედი სტატისტიკური ანგარიშგების ფრომები არ იძლეოდა მოთხოვნილი ინფორმაციის შეგროვების/დამუშავების შესაძლებლობას, ასევე სასამართლოში დაცული არ იყო მოთხოვნილი ინფორმაცია.

„საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსის“ 38-ე მუხლისა და „საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ“ კანონის შესაბამისად, საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების საფასურმა შეადგინა - 198,50 ლარი.

## **ქეთევან აწყურელი**

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს  
საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი

კანცელარიისა და მოქალაქეთა მისაღები განყოფილების უფროსი  
მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი